

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 საქმეგარი, სოთხაბათი, 1988 წ. № 169 (9836) ფანი 3 კაპა.

გაეოლის 1934 წლის 13 აპრილიდან



ეროვნული გილონაბო

გზა პარმონისაკენ

ყოველი ახალი სასწავლო წელი თავისებური და განუმეორებელია, მაგრამ წლებადღეს მაინც განსაკუთრებით გამოირჩეული შეიძლება ვუწოდოთ. სახალხო განათლების ერთიანი სისტემის შექმნის შემდეგ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდაშიც მწყობრი სისტემა იქმნება. ახლა ერთი სამინისტროა პასუხისმგებელი ყველა რგოლში მუშაობისთვის — დაწყებული საბავშვო ბაღიდან, დამთავრებული უმაღლესი სკოლით. ეს ეხება კადრების მომზადებასაც. ფიზიკური აღზრდის პროგრამაში ჭრჭკერობით არ მომხდარა ძირითადი ცვლილებები. მიუხედავად არაერთგვის მცდელობისა, ზოგანსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფტექნიკურ, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისა და საათების რაოდენობა არ გაიზარდა. მაგრამ დღის წესრიგში დგება კლასგარეშე და სკოლისგარეშე, ფაკულტატური მეცადინეობების გაღრმავების, გამაჯანსაღებელი ჭაგუფების ქსელის გაფართოების საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საყოველთაო სახალხო ფიზკულტურულ განათლებაზე გადახდის საკითხს. დარწმუნებული ვართ, უცალოდ არ ჩაუვლია წელს, მისაღები გამოკვებების წინ აბიტურიენტთა შემოწმებას ფიზიკურ მომზადებაში. ფიზკულტურაში მეცადინეობის საკეთეს ხომ 40 ათასზე მეტმა ახალგაზრდამ გაუგო გემო. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. თავისთავად მნიშვნელოვანია ისიც, რომ აბიტურიენტთათვის გათვალისწინებული ეს ღონისძიება კვლავაც გაგრძელდება, მაშინაც, როცა დასრულდება სკოლებში ამალდებამოთხოვნები, შეიცვლება ფიზაღრდის მასწავლებლების, თვით მოსწავლეებისა და მათი მშობლების დამოკიდებულება ფიზკულტურისადმი. ცნობისათვის ვიტყვი, რომ ბევრი ჩვენი მოკავშირე რესპუბლიკა დანტერესდა ამ სახლით. ახლანს გამოკვეთდა ცნობა — ჩინეთში მომავალი წლიდან აბიტურიენტმა აუცილებლად უნდა ჩააბაროს გამოცდა ფიზიკურ მომზადებაში, იმათთვის კი ვისთვისაც სკოლაში კვირაში ფიზკულტურის ორი გაკვეთილი საკმარისი არ არის პროგრამის ასათვისებლად, დამატებითი მეცადინეობები ტარდება. ახალი სასწავლო წელი ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემაში რადიკალური გარდაქმნით იწყება. დღეს ძალზე რთული ამოცანებია გადასაწყვეტი. ახალი აღმართის აღზრდა, აღმართისა, რომელიც 21-ე საუკუნეში იცხოვრებს და იშრომებს, სახალხო განათლების მუშაობისგან მითითვად მალე პასუხისმგებლობას. კაცობრიობა ოდითგანვე ისწრაფავდა სულიერი და ფიზიკური სრულყოფისაკენ. დღეს რეალური პირობებია შექმნილი, რათა ოცნებას ფრთები შეესხას. ჩანს და სხეულში, ჩანს და სულია იწყება პარმონიულობისაკენ ახალი საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა.

გუნდი როგორც იქნა დაკოპალაქდა

ველოსპორტის ოლიმპიური ამბიციები სეულში მკაცრად იქნება ლიმიტირებული. ამის მიზეზი შეჯიბრების დებულება გახლავთ. ყოველ დღეგაციას თითო სახეობაში მხოლოდ თითო სპორტსმენის (გუნდის) გამოყვანა შეუძლია. დებულების ამ პუნქტმა დიდი თავსატეხი გაუჩინა მწვრთნელებს. ამ დღეებში დამთავრებულმა საკავშირო ჩემპიონატმა სატრეკო ველოსპორტში ოლიმპიური გუნდის ყველა კანდიდატი დაასახელა. ყველა ერთის გარდა. როგორც ცნობილია 4 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში ფავორიტთა (კლასიკოსთა და ლენინგრადის ოთხეულეები) დავას მოლოდინეოდ შეუერთდა კუბიშევის გუნდი, რომელმაც ერთ-ერთ საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდზე უკეთესი დრო აჩვენა. გუნდურ რბოლაში კანდიდატთა შერჩევა ამ გარემოებამ გააძინა. მწვრთნელთა საბჭომ დიდი ფიქრისა და სეზონის ყველა შეჯიბრების ანალიზის საფუძველზე ერთგვარად კომპრომისული წინადადება მიიღო: ნაკრები, ორი გუნდიდან (კლასიკოსთა, ლენინგრადის) შერჩეული უძლიერესი ველოსპორტისტებით დაკოპალაქდა. მასში შევიდნენ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, 22 წლის ვიაჩესლავ ეკიმოვი და იუნორთა შორის მსოფლიო ჩემპიონი, 17 წლის დიმიტრი ნელიუბინი (ორივე — ლენინგრადი); აგრეთვე, მსოფლიოს შორეულდრო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, 21 წლის არტურას კასპუტისი და 20 წლის მინდალას უმარასი (ორივე — კლასიკოსთა) სი უფროსი მძა, მსოფლიო ჩემპიონი გინტაუტასი გამოდევნებით, ინდივიდუალურ რბოლაში იასპარეზებს.

ახლა სეული

სსრ კავშირის ოლიმპიური საფეხბურთო გუნდი ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად იმყოფებოდა იტალიაში, სადაც გამარჯვებები მოიპოვა ქალაქების ფლორენსის (2:1), კამერინოსა (5:0) და ორვიეტოს (8:0) გუნდებთან. შინ დაბრუნების შემდეგ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ა. ბიშოვიცმა განაცხადა: — სამივე შეხვედრა ჩაგატარეთ იტალიის პირველი ლიგის გუნდებთან, ვინაიდან უმაღლესი ლიგის გუნდები ჩართულნი იყვნენ თასის მატჩებში. აქვე უნდა ითქვას, რომ იტალიაში საფეხბურთო სეზონი სულ ახლანს დაიწყო, ამიტომაც ჩვენი მეტოქეები ჯერ არ იყვნენ სათანადო ფორმაში. იტალიაში ვთამაშობდით და ვეგარჯიშობდით კიდევ, სასიხარულოა, რომ მწყობრივში ჩადა „დნეპრის“ თავდამსხმელი ტიშენკო, რომელმაც სამივე მატჩში მიიღო მონაწილეობა. 3 სექტემბერს ჩვენი ფეხბურთელები საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩებში მიიღებენ მონაწილეობას, 7 სექტემბერს გამოვლენ ევროპული საკლუბო ტურნირების მატჩებში, 8 სექტემბერს კი შევიკრიბებით ნოვოგორსკში და

მეორე დღესვე გავემგზავრებით იაპონიაში, სადაც ამ ქვეყნის ახალგაზრდულ და ეროვნულ გუნდებს ვეთამაშებთ. იაპონიიდან გავემგზავრებით სეულში. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში 20 ფეხბურთელია: მესაბრები — ხარინი და პრუნციოვი; მცველები — ლოსევი, იანონისი, სკოპოროვი, იაროვენიკო, კეტაშვილი, ჩერეზინი, ფოკინი; შუა ხაზისა და შემტები ფეხბურთელები — დობროვოლსკი, მიხაილიჩენკო, ე. კუზნეცოვი, ი. სავინევი, ტიშენკო, ლოუტი, ბოროდიუკა, ნარბეკოვანი, გორლუკოვიჩი, პონომაროვი, ტატარჩუკი.

იხროკავსია

პარიხჩარჩი (ახალი ზელანდია). მსოფლიო თასი წყალბურთულ ქალთა შორის ნიდერლანდების გუნდმა მოიგო, რომელმაც ფინალში მასპინძელთა კოლექტივი დაამარცხა — 17:2. საბჭოთა წყალბურთელები ტურნირში არ მონაწილეობდნენ. ბალზარაღი. ევროპის ჩემპიონი

შენახლავის საჩუქარი

სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის 1-ლი საშუალო სკოლის თასის მოსწავლეს ბეგრი სილვაროზი ელის. სასწავლო წლის დაწყებისთვის გულრიფშის № 2 საშემენბლო-სარემონტო სამმართველომ (უფროსი ვიანორ ქვაჩაბია) სკოლის ძველ შენობას მიაშენა 18 ახალი საკლასო ოთახი, შენდება 250-ადგილიანი სასადილო და 450-ადგილიანი კლუბი. აქ ძირითადი სამუშაოები უკვე დამთავრებულია, მაგრამ მოსწავლეებს ყველაზე მეტად გაახარებს ვრცელი სპორტული დარბაზი და 25-მეტრიანი ტირი. დარბაზი კარგადაა მოწყობილი. აქ დაიდგა ორი კალათბურთის ფარი, რაც, შეიძლება ითქვას, ამჟამად რესპუბლიკაში ყველაზე დეფიციტური სპორტული აღჭურვილობაა. — შენებლობაში ბავშვებიც მონაწილეობდნენ, — გვიამბობს სკოლის დირექტორი ლევან ესართია, — ყველაზე მეტად სპორტული დარბაზი მოსწონთ. საძირკველი ჩაეყარა საცურაო აუზსაც (12,5X6 მ). ამიერიდან გვექნება საშუალება, რომ ბავშვებს ცურვა შევასწავლოთ.



ელჩები გაემგზავრნენ...

ფოტოსურათები აღბეჭდილია საქართველოს მიწაზე ქალაქ პობოკენის ბეისბოლისტთა გუნდ „ამბასადორის“ ყოფნის უქანსაყნელი წუთები. ჟურნალისტმა რობერტ პანლომ ამერიკელ ბეისბოლისტთა გამომგზავრების წინ გავთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებული წერილი ასე დაასათურა: „თინეიჯერები

ემზადებიან რუსების დასამარცხებლად“. ამერიკელმა ჰაბუკებმა მართლაც ისე განვლეს მთელი მარშრუტი (მოსკოვი — კიევი — თბილისი), არც ერთ მატჩი არ წაუგრაო. რა ვუყოთ, ჯერჯერობით ახალბედები ვართ ამ საქმეში... მაგრამ „ელჩების“ (ასე ითარგმნება გუნდის სახელწოდება) მთავარი გამოჩვენება ის იყო, რომ ჩვენი გუნდი მოიგეს. ძალიან გვირდა გჯეროდეს, რომ ეს სიმართლა ორმხრივია. თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართული ბოლო შეხვედრა არატრადიციულად წარიმართა. გუნდები სტუმრებისა და მასპინძლების „შერეული შემადგენლობით“ თამაშობდნენ. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 6:6. გაიმარჯვა მეგობრობამ!

საქართველოს თასი — ნყალტუბოს „შადრევანს“

ბაშინ ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამართა საქართველოს თასის ფინალური მატჩი ფეხბურთში, ერთმანეთს შეხვედნენ „შადრევანი“ (წყალტუბო) — „მადნეული“ (ბოლისი). მატჩი მოიგეს წყალტუბოელმა ფეხბურთელებმა — 1:0. პირველი ნახევრის მე-15 წუთზე ბოლისის „მადნეულის“ კარში ბურთი ა. კერესელიძემ გაიტანა. ამრიგად, პირველად გუნდის მტორიაში წყალტუბოს „შადრევანი“ რესპუბლიკის თასის მფლობელი გახდა. საუკეთესო მოთამაშეებისთვის დაწესებული პრიზები გადაეცათ: წიქარიშვილს („შადრევანი“) და შენგელიას („მადნეული“).

სად დავისხვედით. სად ვივარჯიშოთ. სად ვიასხაპაროთ

„ჩანსაღი ცხოვრების პრობლემის ერთგვარად“ პროგრამით, 4 სექტემბერს, 11 საათზე ს. ორკონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდება შეჯიბრებები მინიფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ბაგირის გადამალვაში. დიდოსტატი ნანა ალექსანდრია ჩატარებს ერთდროულ თამაშის სეანს ჰადრაკში. მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს. 3 სექტემბერს თბილისის სპორტკომიტეტი ქუის და ლისის ტბების ტერიტორიებზე გიწვევთ მასობრივ სპორტულ ღონისძიებებზე. 4 სექტემბერს კი რიყეზე და ვ. კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართება ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი სპორტული შეჯიბრებები. ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში დაიწყო ახალი კონტიგენტის მიღება. დღეიდან მსურველებს იღებენ სპორტული ბაზებისა და კოპერატივების გამაჯანსაღებელ ჭაგუფებში.

„ლელოს“ საკორესპონდენტო პუნქტი გლდანის სკოლა-ინტერნატში

რეპონტის დამთავრება ზუსტად ერთი თვე დარჩა

მათბირი № 4

გლდანის სკოლა-ინტერნატში რიგით მეოთხე თაობის ჩასატარებლად ერთმანეთს შეხვდნენ რეპონტის სამინისტროების სამშენებლო დაწესებულებათა წარმომადგენლები. როგორც ჩვენი მკითხველებისთვის უკვე ცნობილია, წინა სამა თაობის რეპონტის დასრულება (შენებლებმა საქმეს პრაქტიკულად ვერაფერი შემატეს). აქვე იხილეთ უნდა ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში უშედეგოდ დამთავრებული შეხვედრების ლიმიტი დაწესებული არ არის. რაც იმედს გვაძლევს, რომ რეპონტის დასრულება გლდანის ინტერნატის კვლავ გაგრძელდება. რა იყო უშედეგო და მასხაითებული განვიხილო შეხვედრებისათვის? პირველ ყოვლისა ის, რომ თათბირები „ძლიერის“ შემადგენლობით დაიწყო, მაგრამ მერე და მერე ხარბიული შედარებით დაბალი თანამდებობის პირებს დაეთმო, რამაც საქმეს, ხაერით აზრობით, კმედითობა დააკლვა. ისეთი შთაბეჭდილება გვჩვენებს, მაღალი თანამდებობის პირები უშუალო პასუხისმგებლობას მორიდდნენ — მოგვხსენებთ, ურემი რომ გადაბრუნდება, მერე უფრო ადვილია დაწესებულების სხვისთვის გადაბრუნდება.

იმათ, ვინც გვიან შემოვიყვართ, და მოკლედ გავაცნობთ საქმის წინაარსს.

წლების განმავლობაში გამოჩენილი გულგრილობა და უპურადღებობა სავალალო მდგომარეობაში მიიყვანა გლდანის რესპუბლიკური სპორტული სკოლა-ინტერნატის ბაზები. ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილის შემდეგ შემდგომი ორგანიზების დავალიანებით ბევრმა სამინისტრომ (დარგების მიხედვით) ივალდებულა, რომ ინტერნატს კაპიტალური რემონტის ჩატარებდა. მათი ერთხლოვანი აზრით, პირველი რიგის სამშენებლო (სამინებლო და სასწავლო კორპუსები, საცურაო აუზი) სასწავლო წლის დაწყებამდე დამთავრდებოდა. საქმის უფრო საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულების თანახმად, ეს ვალა 30 სექტემბრამდე გადასწიეს. მაგრამ, ჩერჩერობით მაინც, საქმე, თამაშად

შეიძლება ითქვას, კუხ ნაბიჯით მიიწევს წინ.

ახლა კი კვლავ ვაგრძელებთ რეპონტის. რემონტის დამთავრებამდე უფრო და უფრო ნაკლები, ხელ რაღაც ერთი თვეა დარჩა. შეძლებენ თუ არა მშენებლები დანაპირების დათქმულ ვადებში შესრულებას, ისე, რომ რემონტის ხარისხს წინა არ მიაყენონ? ამისათვის პასუხისმგებლობის გრძობა და გულმოდგინე ვარჯაა საჭირო, რაც ახე აქლიათ მოიქარე ურგანოცაიებს. აქვე იხილეთ უნდა ვთქვათ, რომ პარტნიორებს შორის კონტრაქტი დაირღვა.

მოვეუსმინოთ კომუნალური და საბინაო მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს მთავარ ინჟინერს ამირან ლომიძეს.

— სამინისტროს კვანძების მოუწესრიგებლად რემონტის გაგრძელებას აზრი არა აქვს. ეს საქმე რემონტის პარალელურად უნდა დაწყებულიყო, თორემ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ჩვენი გაკეთებული ხანტექნიკისგან და ელექტრიკოსებისგან დაანგრავთ.

— საქმეთავარმონტისპროექტის „სანტექნიკის“ სამმართველოს უფროსი არნოლდ ფანცხავა:

— ჩვენი ხელისგანი ამჟამად სასკოლო მშენებლობებზე მუშაობენ. ხომ არ შეიძლება გვემურ საქმის მოვლევითი ხალხი და უმეგმოვ გადვიყვანოთ? ამ საშუაოს დავამთავრებთ და ექვსი სექტემბრიდან შემოვიერთდებით.

ამირან ლომიძე: — ეს ემახ წინააღმდეგობა, რომ ამ დროის განმავლობაში გულგრილადკარგინი უნდა ველოდეთ ხანტექნიკისგან?

პირდაპირ უცნაურია: ხანტექნიკოსებს მუშაობაც არ დაუწყიათ და უკვე ორკვირიანი შეხვედრა აიღეს. ვაუგებარია, რატომ არ შეიძლება, რომ ისინი სექტემბრის პირველი რიცხვებიდან მაინც შეხვედრამოდენ საქმეს? დროის გაუვანის ასეთი ტაქტიკა აშკარად ეწინააღმდეგება იმ ვალდებულებებს, რაც სხვებთან ერთად აიღო „საქმეთავარმონტის“ ხანტექნიკოსების სამმართველო.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ პასიური პოზიცია „მთავრკაცხაის ტრანსპონტის“, რომელსაც დავალებული აქვს სამმართველო-ადგენითი

ცენტრის რემონტი. აქ უამრავი შავი სამუშაო ჩასატარებელი, მაგრამ „ტრანსპონტის“ წარმომადგენლები არა მარტო სათითვე არ ეკარებიან ხარემონტო საქმეს, თათბირებზე დასწრებითაც არ იწუნებენ თავს. ლოდინის „საქმეში“ მათ მხარში უდგანან „თბილგვირაბში“ „საქსპორტმშენის“, ხახალის განათლების სამინისტროს და „საქმეთავარმონტისპროექტის“ შესახამის სამმართველოები და განყოფილებები.

რამდენიმე სიტუაცია მასალებით მომარაგების შესახებ, რაც ვარჯახან კაპიტალური რემონტის ერთ-ერთი უშედეგო სუსტი რგოლი იყო, ამ მხრივ საგრძნობი გამოცდებდა, სამშენებლო მასალების ნაწილი მთავარი ორგანიზაციებს ელოდება, მაგრამ კვლავ უიმედო მდგომარეობა ისეთი პირველი მოთხოვნების მასალებით მომარაგებაში, როგორცაა აფური, ცემენტი, კაფელი, მეტლების ფილები, ხეტე (კარ-ფანჯრის და იატაკისთვის). ამ მასალების დეფიციტი ძალიან აფერხებს ისედაც გაქანურებულ რემონტს.

იხე ვაურკვევილია, ხაიდან უნდა შემოიწოდოს სტალინისთვის ხრეში, რადგან ამ მანით კარიერის გამოყოფა, როგორც გამოიკვია, საქმის ხიძენელებთან არის დაკავშირებული.

ახლა კი იმათ შესახებ, ვინც ახე თუ ისე ცდილობს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. კვლავ მონადირებით მუშაობს კომუნალური და საბინაო მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო სამმართველო, რომლის წარმომადგენლებიც დღემდე საკუთარი დანაშაუდი მასალებით მუშაობდნენ. ცოცხალი წინ მათ სამოქალაქო ავიაშენის № 20 ხარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ერთადერთი ტრაქტორი მიაშველეს, რომელიც სტალინის გრუნტს ჰრის, ორი დღის წინ კი, როგორც იქნა, მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო სამმართველოს ექვსკაციანი (1) ჩგუფიც გამოიწვია.

ერთი სიტუაცია, საქმის ისეთი პირი უნახს, თუ ხახნაული არ მოხდა, ხარემონტო სამშენებლობის დამთავრებისთვის დამატებითი დროის დანიშვნა ვახლება საქირო.

ჯეზალ ქახსრამა.

მოუბარიბაღალი...

ისევ იმ მოვალეობის განახლება, რომელსაც თავიანთი „მოღვაწეობით“ გახარისხებენ შინ თუ გარეთ

წმინს წინაა მშობელთა განცხადებებით ხახე საქალაქე ვერც კი დაითვლია, იმდენია. მათი შინაარსი გაქრილი ვაშლივით გვახს ერთმანეთს — ხახერიოში პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ცურვის სპორტული სკოლის გამაჯანსაღებელ ბანაკში ყველაფერი იდეალურად იყო, ფული, რომელიც აიკრიბა, მოხმარდა ბავშვებს, სკოლის და ბანაკის ხელმძღვანელობა საქმისათვის თავდადებული ხალხია და დახვას არ იმსახურებენ. განცხადებები პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებაში შევიდა პრეზიდენტის წინ, სადაც ამ საკითხს საგანგებოდ იხილავდნენ. შკაცრ და ობიექტურ განაჩენზე, რომელიც პრეზიდენტმა გამოიტანა, ჩვენ უკვე ვიუწყებოდით და აქ სიტუაცია აღარ გავაგრძელებთ.

ამ მშობლებმა თავად შეუწყეს ხელი დანაშაულში სპორტის მუშაკებს და მერე დამცველის როლიც თავადვე იტვირთეს. ძალიან გახშირდა სპორტულ გუნდებზე და მწვრთნელებზე მშობელთა შეგავლება, განსაკუთრებით ბავშვთა სპორტში. არავინ უარყოფს მშობელთა კომიტეტის როლს და მნიშვნელობას, მაგრამ ის, რაც ახლა ხდება, ყოველად მოუთმენელია, მშობელთა უაპელაციო ჩარევა მწვრთნელთა საქმიანობაში ხშირად სკანდალით მთავრდება. მაინც რაში ვვებით ბრალს ამ დაშინებულ ადრეც და გვიწერია და ახლაც გავიმეორებთ: იმაში, რომ მშობლები მწვრთნელებს ხელს უწყობენ თავიანთი შევილების ასაკის გადაკეთებაში, უკანონოდ აგრძელებენ ფულს და ალკომლიან სახმელებს შეკრებაზე თუ შეკრებაზე გუნდის წახვლის წინ, გუნდებს დაუკვირებენ შეკრებებზე და შეკრებებზე რესპუბლიკის შინით თუ მის ფარგლებს გარეთ, „აქტივისტი მშობლები“ აქტიულებენ დანარჩენებს გაიღონ ხარკები, მათ შორის მწვრთნელისთვის ხარკების შესახებ. არიან მწვრთნელები, რომლებიც 20-30 წელიწადი მუშაობენ ბავშვებთან და ერთი სპორტსმენიც არ ალურდიათ. არც დიდ სპორტში გადახვალაზე ეკლავენ თავს, რადგან მათთვის ბავშვთა სპორტი უფრო ხარჯიანია. გუნდების მეტოქეობა მშობელთა მეტოქეობაში გადადის. გაიხსენეთ თბილისის ნორჩ კლასთურთელთა ამაწინანდელ ფეხბურთელზე მომხდარი სამარცხვინო ამბავი, რომელიც მოზარდ სპორტსმენთა ასაკის გადაკეთებასთან იყო



დაკავშირებული. ასეთი ფაქტები აღრე სპორტის სხვა სახეობებშიც მომხდარა.

ახლა განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ არა მარტო კალაბურთელების, არამედ ნორჩი წყალბურთელების, ჩოგბურთელების, მოცურავეების და ფეხბურთელების მშობლების მართფათზე, მათ ყოველისშემძლეობაზე, რომელთა ხელში მწვრთნელები და მთელი კოლექტივებიც კი სათამაშო ფიგურებად ქცეულან. მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, ასეთი აღამიანები ძირს უთხრიან ჩვენი სპორტის ინტერესებს, გვას უღობავენ ნიჭიერ მოზარდებს, სახელს უტეხავენ რესპუბლიკას. ისინი თავაშვებულად, გამაღვიანებლად იქცევიან მაშინაც, როცა შეკრებებზე ესწრებიან. ბევრი მშობელი შედმეტად აქტიურობდა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დღეებშიც და მაშინაც, როცა „ლელოში“ გამოსაქვეყნებლად ქართული სპორტის ახალი შენაკადის, პერსპექტიული სპორტსმენთა სები დგებოდა.

არის მშობლები მეორე კატეგორია, რომლებიც მართლაც ნიჭიერ შეიღებს შედმეტ მწვრთნელებს უწყენ. მათგან ხშირად გაიგონებთ „ჩვენ ამ შეკრებაში არ გამოვალთ“, „ჩვენ დიდი ტურნირი გვინდა“, „ჩვენ ეს ხელს არ გვაძლევს“, „ჩვენ...“ რაზეა ლაპარაკი? ვინ ჩვენ? ჩვენ — ეს არის სპორტსმენი და მშობელი. მშობელი თვლის, რომ მან უკეთ იცის რა არის საჭირო მისი შვილისთვის, ვიდრე ამახ სპეცილისტი გვეგმავს და სთავაზობს. ულტრამატუმების გარჩევას სხვა საქმისთვის მეტად საჭირო დრო მიაქვს, აღარაფერს ვამბობთ ნორჩი სპორტსმენის მზადების გეგმების გამრუდებაზე. ეს განსაკუთრებით მოჭადრაკებზე იქმის.

ჩვენს გაზეთს ადრეც გაუმახვილებდა უურადღება ამ მეტად ხარტორი თემაზე. ალბათ დაგდა დრო უფრო აქტიურად ვიმოქმედოთ. შკაცრი მსჯელობის საგნად ვაქციოთ მშობელთა უკონტროლო „მოღვაწეობის“ ყოველი კონკრეტული ფაქტი. პასუხი უნდა მოეთხოვოს იმ მწვრთნელებსაც და სპორტულ კოლექტივებსაც, ხადაც შეძლებულთ თუ ავტორიტეტულ მშობელთა ნებას არიან დაუყოლიონ. ამ საქმეში დიციპლინისა და წესრიგის დამყარება ჩვენი სპორტის წინსვლის ერთი მნიშვნელოვანი რეტერია.

ამ სპორტული ბაზის რეკონსტრუქცია „ლელოს“ კონტროლზე იყო



დამთავრდა თბილისის „ლოკომოტივის“ საცურაო აუზის რეკონსტრუქცია. მშენებლებმა ამირკაცხაის რეინჯის სამმართველოს ახალი ხელმძღვანელობისა და საგზაო პროფკავშირების აქტიური მხარდაჭერით უკვე დამთავრეს რთული და მოცულობითი ხარემონტო-რეკონსტრუქციის სამუშაოები. საცურაო კომპლექსი დამზარე სათავსობით მწყობრშია. ხულ მალე იგი ხახემოდ გაიხსნება.

ლიდარგვა პოზიციები უმინარგუნს

კულდობა. 31 აგვისტო (დებეით, „ლელოს“ სპეც. კორ.). საბახო განათლების მისტრების სპორტული სკოლების მოსწავლე მოიარაკეთა ფინალური შეკრების I ტურში საქართველოს გუნდი ამატებდა — 3,5;4,5 უკრაინის ოლექტივით, შემდეგ ტურში კი სეთივე ანგარიშით სძლია აზერაიჯანელ თანატოლებს. სხვა შე-

ხვედრები ასე დამთავრდა: აზერბაიჯანი-ლიტვა — 6:2, სომხეთი-ლუნიგრადი — 3,5;4,5, ლუნიგრადი-ლიტვა — 5,5;2,5, სომხეთი-უკრაინა — 4:4. ამრიგად, ბოლო ტურის წინ უკრაინის ნაკრებს 19 ქულა აქვს, შემდეგ მოდიან: საქართველოს (18), აზერბაიჯანის (17,5), სომხეთის, ლუნიგრადის (15,5-15,5) და ლიტვის (10,5) კოლექტივები.

საკავშირო რეპონტის დასრულება

საქმეთავარის შუა რიცხვებში ლვოვი ქვეყნის უძლიერეს ახალგაზრდა მესტენდურთა ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეკრებაზე გამოსვლის უფლების მოსაპოვებლად სხვადასხვა სპორტსაზოგადოებების ცენტრალური საბჭოების პირველობები ჩატარდა.

უხსტის სროლით კვლავ გამოიჩინა თავი თბილისელი მაია გუბიევამ (მწვრთნელი — გელა სიმონიანი), რომელიც ლუნიგრადში, არმიელთა შეკრებაზე ასპარეზო-

ბდა. მაიამ 134 ქულა მოაგროვა (150 შესაძლებელია) და ყველა მეტოქე გოგონა ჩამოიტოვა. იგივე წარმატებას, ოღონდ დინამოელთა პირველობაზე, მიიღწია ზუგდიდელმა მსროლელმა დემნასოსელიამ (მწვრთნელი შოთა ფეტიაშვილი). ვილინუსში ჩატარებულ პირველობაზე მან 139 საბიზენ დაამსხვრია და უძლიერესის სახელი მოიპოვა. ორივე მსროლელი მრგვალ სტენდზე ასპარეზობს.



ქუთაისი. ცენტრალური სტადიონის მთავარი მოედანი. 30 აგვისტო.

„შენებელი“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 18:3 (12:0).

„შენებელი“: ურუჯაძე; გარბინიძე, ლიპარტიანი, ხარშილაძე, ხაშაშვილი; ძაგნიძე (დუბინაძე, 74), აბოძე (ლოხაძე, 48); ოზოლაძე, ტურტიაძე, ლილუაშვილი, ვრიკაძე, ისაკაძე, ოდიშარია, ფხაკაძე (თხელიძე, 55), ნაბუქია.

„ლოკომოტივი“: ბრატკო; დანილოვი, კოსტიუცი, ოვინიკოვი, რუდენკო; ბუგროვი (ცინოზოლოვი, 48), პროკლოვი; ნებოროვი, მალოივი, დუბინაძე, კარპუშენკო, პლოტნიკოვი, შარკოვი, მოსიაკოვი, პრონინი.

მსახი სტანისლავ კნორი (ალმათა).

გოლები: „შენებელი“ — 4 ხაჩარია (18, ძაგნიძე; 25, 30, 36; ლილუაშვილი), ლელო (48, ხაჩარია); რეალიზაციით (ლილუაშვილი); „ლოკომოტივი“ — ხაჩარია (54, ოვინიკოვი).

გაძეგვს პრონინი (30).

მეორე ეტაპის სტარტზე კრასნოიარსკელბთან შინ დამარცხების შემდეგ „ლოკომოტივი“ უკანდასახევი გზა აღარ პქონდა, ქუთაისელებს კი მეორე ადგილის ერთ-ერთ პრეტენდენტებთან ძალების სრული დაძაბვა სჭირდებოდათ, ფინალურ ოთხეულში ოქროს ქულების მაქსიმალური მარაგით რომ შესულიყვნენ. ამიტომაც იყო, ორივე გუნდმა თავგანწირვით რომ დაიწყეს ეს პრინციპული შეხვედრა, მაგრამ მალე ქუთაისელებმა მორჩინალებმა უპირატესობა მიიპოვიეს და მათი წინსვლა რომ შეეჩერებინათ, სტუმრები იძულებული შექმნენ, ზედინედ დაერღვით თამაშარე მდგომარეობის წესი. ქუთაისელთა ძირითადმა დამარცხებელმა ძაგნიძემ, რომელმაც სულზე ჩამოუსწრო თამაშს (ქუთაისელი რეგბისტი საფრანგეთში მსოფლიო უნივერსიადაზე ასპარეზობდა),

რეზანი: სპარტაკო და სპარტაკოს...

მხოლოდ მესამე ცდაზე შესძლო ანგარიშის გახსნა. შემდეგ მორჩინალებს კარგად აუბნეს მხარი უკანა ხაზების მოთამაშეებმა (დამაგებულები ლიპარტიანი და მოჭანბრები აშკარად დაეტყო გუნდს) და რამდენიმე ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს. ძაგნიძემაც პირვენიდან დაჯახდა მეტოქე ფეხით პოზიციურ თამაშში და საკუთარ ნახევარს მიჯაჭვულ მოსკოველებს წესების სისტემატურად დარღვევის გარდა არა დარჩათ რა. სტუმრები უხეშობდნენ, ჯარიმდებოდნენ, ლილუაშვილი მესამეში სიზუსტით ურტყამდა საჯარიმოებს და შესვენების წინ სხვაობამ ანგარიშში 12 ქულაც კი შეადგინა.

მეორე ტიპში სტუმრები კონტრათამაშის შექმნას შეეცადნენ, ხელით დაიწყეს ბურთის გათამაშება, მაგრამ მათ იერიშებს მიზანსწრაფულობა აკლდა და სტუმრები ერთი გვერდითი ხაზიდან მეორეს აწყდებოდნენ, თანაც ქუთაისელთა სამეფოთხედლები მშვენივრად ბოჭავდნენ მოსკოველებს. ამიტომ სტუმრებმა მხოლოდ 3 ქულის მოპოვება შეძლეს, ქუთაისელებმა კი ე. წ. საჯარიმო ლელო გაიტანეს; მოსკოველებმა აშკარა საგოლე მომენტში უხეშად ითამაშეს და მატჩის არბიტრმა „შენებელს“ დამიწება კარის ძელებს შორის ჩაუთვალა.

თამაშ სპარტაკი.

ამავე ტურში თბილისის „ელმავალი“ კრასნოიარსკში დამარცხდა ადგილობრივ ეტს-თან — 3:36. „ბ“ ქვეჯგუფში მინინის სსა-მ დამარცხა მოსკოვის „სლაია“ — 13:9.

ბათუმის ცხრილი

მდგომარეობა 1 სექტემბრისთვის

Table with 5 columns: Team Name, Points, Goals, etc. for Batumi.


როგორც გაუწყეთ, საბჭოთა სტუდენტურმა ნაკრებმა პირველ მსოფლიო უნივერსიადაზე მეორე ადგილი დაიკავა. ჩემპიონი კი გახდა ახალი ზელანდიის გუნდი, რომელმაც ფინალში არგენტინელებს მოუგო — 30:21.

ოლიმპიური მოზაიკა

სამხრეთ კორეაში ფართოდ არის გავრცელებული ასლებით ვაჭრობის ბიზნესი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია სეულის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა იტევონი, რომელსაც იქ მოთავსებული წვრილი მაღაზიების გამო, უცხოელი ტურისტები უპირატესად ვეანებან. ასლებით მოვაჭრეთა სამუალო წლიური შემოსავალი 30 მილიონ დოლარს აღემატება. ბიზნესს ხელს უწყობს ის, რომ უცხოელი ფირმების „ადიდასი“, „მაიკლო“, „გუნი“ და სხვ. მარკით დამზადებული სამხრეთკორეულ საქონელს ტურისტები იფად იძენენ. მაგრამ ოლიმპიადის დღეებში ასლებით ვაჭრობა კატეგორიულად აიკრძალა. შემჩნეულთ კი ან ჯარიმის გადახდა (27 ათასი დოლარი) მოუწყეთ, ან 2 წლით პატიმრობა.

ოლიმპიურ სტადიონზე მძლვრად ფინისის მისადგომებთან აგებული ალიუმინის ფარი, რომელმაც მორბენლები გვერდითი ქარისგან უხდა დაიცავს. ოლიმპიადის ორგანიზატორებმა მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ თამაშების გახსნის ცერემონიალისთვის მუსიკალური ინსტრუმენტები არ ჰყავდათ. საზღვარგარეთ ნაყიდი 92 საყვირდანი სეულამდე მხოლოდ 62-მა ჩააღწია. დარჩენილი 30 ინსტრუმენტის დამზადება ერთ-ერთმა ადგილობრივმა ფირმამ ითავა. თამაშების გახსნაში მონაწილეობას მიიღებს ხუთასი მოცეკვავე. დასურვის ცერემონიალის

სსრ კავშირის პირველმა ფეხბურთში



გამართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები. თბილისში გ. დიმიტროვის სხელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე „შეგარდენი“-სპი-მ გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს ქუთაისის „ტორპედოს“ უმესპინდლა. თამაში ქუთაისელთა სრული ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა და მათივე დამარცხებით დამთავრდა — 4:1.

უნგრული ეასპარიმენტი

დაიწყო უნგრეთის ჩემპიონატი ფეხბურთში, გათამაშების დებულეებაში შეტანილია მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ, ამ ქვეყნის ჩემპიონატში ფრე აღარ იქნება. ექსპერიმენტის არსი ასეთია: გუნდი, რომელიც მეტოქეს მატჩის ძირითად დროში დაამარცხებს, მიიღებს 3 ქულას, ხოლო წაგებულ — ნულს. თუ ორი ტიპის შემდეგ ფრე აღინიშნა, დაინიშნება დამატებითი 11-მეტრიანები, ამ

ინფორმაცია

რომი. აქ გრძელდება მოყვარულ ბეისბოლისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. ასპარეზობაში 12 გუნდი გა-

ბათუმის ცხრილი III ზონა

Table with 5 columns: Team Name, Points, Goals, etc. for Batumi Zone III.

შემთხვევაში გამარჯვებულს დაერიცხება 2 ქულა, ხოლო წაგებულს — 1.

გარდა ამისა, შეიცვალა ლიგის ლიგის გუნდების ვადასკლის წესი. 2 კლუბი, რომლებიც უმაღლესი ლიგის გათამაშებაში ბოლო ადგილებს დაიკავებენ, ავტომატურად გადადებიან მეორე ეშელონში, ხოლო მესამე აუტსაიდერი შეხვდება პირველ ლიგაში მესამე ადგილზე გასულ გუნდს და გამარჯვებული უმაღლეს ლიგაში ითამაშებს.

მოდის. ექვსი ტურის შემდეგ წინ არიან აშშ-სა და კუბის წარმომადგენლები. ისინი დაუშობსებლად მიიწვევენ წინ ჩემპიონატი 7 სექტემბერს დამთავრდება.

ცისვარ ეპრანვა

ცენტრალური ტელევიზია. 1 სექტემბერი. დილის ვარჯიში — 9.00 (2); მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში: ისლანდია (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები) — 10.50; რიტმული ტანვარჯიში — 20.15 (2).

2 სექტემბერი. დილის ვარჯიში — 9.00 (2); ჩანმრთელი რომ იყო — 21.45 (2).

სპორტპროგნოზი

25-ე ბრძანის შედეგები (28-29 აგვისტო)

1-1, 2-X, 3-2, 4-2, 5-2, 6-X, 7-X, 8-1, 9-2, 10-1, 11-1, 12-2, 13-1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

კალენდროსკოპი

ენოზა კანდიდატ კალაქებს

როგორც ცნობილია, ბულგარეთის დედაქალაქ სოფიას განზრახული აქვს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლოს. ამ დღეებში აქ სტუმრად იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი, ინგლისელი მერი ალისონ გლენ-ჰეიგი, რომელმაც დათვალიერა ქალაქი და მისი შემოგარენი, დაწვრილებით ვაეცინო ბულგარელთა გეგმებს. განზრახული აქვს ვინახულა ყველა კანდიდატ-ქალაქი თქვა მან, — ვიცი რომ ხუთივე კონკურენტი გულმოდგინედ ემზადება ოლიმპიური კონკურსისთვის, მაგრამ სად მიკეტებს და ფოტოგრაფიების განხილვა და სად საკუთარი თვალთ გადაღებული მთაბეჭდილება? ბულგარეთიდან მიედივარ საუკეთესო მოგონებებით.

კალენდროსკოპი

ქურთაისტებთან საუბარში გლენ-ჰეიგმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს განზრახული აქვს საგრძნობლად გაზარდოს „ლოპინგ-კონტროლის“ მოღვაწეობის სფერო. ამ სახის შემოქმედები ამიერიდან, მთელი ოლიმპიური ოთხწლიური ციკლის განმავლობაში მოხდება, — თქვა მან საუბრის დასასრულს.

სი-ბი-ეს-ი იმავოვნება

ალგარკვილის ზამთრის ოლიმპიური თამაშების (1992 წ.) ტელეერპორტაჟის უფლებებისთვის საამი ამერიკული კონცერნი: სი-ბი-ეს, ენ-ბი-სი და ეი-ბი-სი იბრძვის. ამ ბრძოლაში ბოლოს და ბოლოს სი-ბი-ესმა გაიმარჯვა.

კონტრაქტი სი-ბი-ესსა (ეს ტელეკომპანია 1960 წლის ოლიმპიურ თამაშებს გადმოცემდა) და ორგანიზატორებს შორის უკვე გაფორმდა. იგი დაჯდა 243 მილიონი ამერიკული დოლარი. ზამთრის ბოლო ოლიმპიური თამაშების ტელერეპორტაჟების უფლება, როგორც

საზღვარგარეთი სასწავლებლები

ენობილია, ეი-ბი-სიმ 309 მილიონ დოლარად შეისყიდა, მაგრამ კომპანიამ 69 მილიონი ზარალი ნახა. სი-ბი-ეს-ის წარმომადგენლები ოპტიმისტურად არიან განწყობილი და თვლიან, რომ ასეთ შეცდომას არ დაუშვებენ.

მთიანეთის შეიარაღებულ ძალთა სპორტული კომიტეტის გადაწყვეტილებით მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი 10 ათას მეტრზე რბენაში, 32 წლის მოპამედ კედირა ლეფიციკში მიაგვიანეს. აქ იგი ისწავლის ფიზიკურად უმაღლესი სკოლის მწვრთნელთა საერთაშორისო კურსებზე. ამ პოპულარულ სპორტსმენს მიზნად აქვს დასახული გაიმდიდროს თეორიულ-მეთოდური ცოდნა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხელი მიჰყოს მაღალი კლასის სტაიერთა აღზრდას. ეთიოპიაში, როგორც ცნობილია, ბევრია ნიჭიერი სტაიერი, რომლებსაც კავადიციური მწვრთნელის ხელი აქლიათ.

საქართველოს კავშირის ცხრილი

კულმინაციად ორგანიზატორებს მიანიშნავს სოლოციკვა სპეციალურ კლარკონსზე, რომელიც სეულში უკვე მაცდულ და სურუსს ხელუზას შექმნის. იმისა, რომ იაბონია სეულში მრავალრიცხოვან ლეღეციკის აგზანის (260 სპორტსმენი) სულ რაღაც ხუთ ოქროს მედალს გეგმავს და ისიც მხოლოდ მიულომა. იაბონელ ოლიმპიელთა ბოლო წარუმატებლობას სამოყვარულო სპორტის ერთგული ასოციაციის ხელმძღვანელი აკირა კობაიასი ახალგაზრდობის სრულფიზიკური ინერტულობით ხსნის მისი განცხადებით სპორტსადმი ინტერესი ახალგაზრდებში მას შემდეგ განეღდა, რაც იაბონია „სამრწველო გიგანტად გადაიქცა“.

ინფორმაციები მოცურავეთა გუნდში 38 სპორტსმენი მოხვდა, მათ შორის ყველაზე გამოცდილია 31 წლის მარგარეტ პოპინი, ყველაზე ნორჩი კი 14 წლის ჯონ კული. მწვრთნელთა მთავარ იმედებს ანდრეან მურაუსუსა და ენდრიუ ჯეიმსონზე აყარებენ.

რედაქტორი თ. ბაჩილიაძე

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი რეზანი 2 სექტემბერი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა) „ელმავალი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) დასაწყისი 18 სთ. 30 წთ.

მსოფლიოს სასახლის

„ჩანმრთელობის სკოლა“ საერთაშორისო იწვევს ყველა მსურველს. „ჩანმრთელობის სკოლაში“ შედის შემდეგი ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფები: 1. ჩანმრთელობის, 2. სიარულისა და რბენის, 3. ათლეტური ტანვარჯიშის, 4. სამკურნალო ტანვარჯიშის, 5. მხატვრული ტანვარჯიშის 5-8 წლის გოგონებისთვის, 6. მაგილის ჩოგბურთის, 7. აერობიკის, 8. აკრობატის, 9. ბრეიქ-დანსის, 10. ჩინური სუნთქვითი ტანვარჯიშის „უ-შუს“. სახელგანთავაზობთ მთელ რიგ მომსახურებას: 1. ტურისტული და სპორტული ინვენტარის (ქარავნის, ზურგჩანთის, საძილე ტომრების, ბადმინტონის, შაშის, ცილარკის) გაქირავებას. 2. თქვენს განკარგულებაში იქნება საშხაპეები, საუნა, პიდრო-მასაჟი, მშრალი მასაჟი, 4559,43 კგ მ ფართობის საჯარჯოშო შენობა. 3. დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ საექიმო კაბინეტს (ოთახი № 106), სადაც „ჩანმრთელობის სკოლის“ საკონსულტაციო პუნქტია მოთავსებული. მისამართი: წერეთლის გამზირი 95-ა. ტელეფონი: 34-70-09.

თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვების ჟედაობის სპორტული სკოლის დირექტორი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას კლასიკური, თავისუფალი ჟედაობის, მიუდოსა და სამზოზ განყოფილებებზე.

მათ განკარგულებაში იქნება კეთილმოწყობილი სპორტული დაარბაბები კვების ბლოკით და სამედიცინო მომსახურებით. სპორტულ სკოლაში პირველი სექტემბრიდან 20 სექტემბრამდე ჩაირიცხებიან 9-10 წლის ბიჭები. ძიუდოს განყოფილების დამწყები ჯგუფები გადაყვანილი არიან სააბონემენტო სისტემაზე. აბონემენტის ღირებულება თვეში 3 მანეთია. ჩვენი მისამართი: თბილისი, დიდის მასივი, ბელიაშვილის ქ. № 6.

ბილიარდის სპორტული სკოლის დირექტორი

ჩანენი მისამართი: წერეთლისთვის — 388098, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეტურებისთვის — თბილისი, „ლელო“

ჩანენი მისამართი: წერეთლის განყოფილება — 93-97-55, სამედიცინო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „შერანა“ — 93-97-26, „მარტვი“ — 93-97-27.

ჩანენი მისამართი: 83050 06435

საქართველოს კავშირის ცხრილის ცხრილის ცხრილი

საქართველოს კავშირის ცხრილის ცხრილი